ჰერმენევტიკული აზროვნების რეცეფცია და ენის როლი ჰანს-გეორგ გადამერის ფილოსოფიაში

ნინო გვარამაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფილოსოფიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამაგისტრო პროგრამა: ფილოსოფია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ ცოფურაშვილი,
სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი,
თბილისი, 2024

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორებისადმი აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან/და დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო გვარამაძე

15.01.2024

აბსტრაქტი

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია ჰანს-გეორგ გადამერის ჰერმენევტიკული ფილოსოფიის ენობრივი ასპექტები. კვლევაში ნაჩვენებია, რომ ადამიანის ყოფნის სპეციფიკა, გადამერთან, გარემომცველი სამყაროს ენობრივ ასპექტში მისეული არსებობითაა განსაზღვრული, რომლის დროსაც, ეს სამყარო ადამიანისთვის თავს ავლენს, ენაში გადმოცემული სამყაროს სახით, რაც შესაძლებელს ხდის, რომ ადამიანის მიერ გამოხატულ, გამოთქმულ და აქტუალიზებულ იქნეს ყოფიერების საზრისი. ამ პროცესისას, ადამიანი სამყაროს *ინტერპრეტატორის* პოზიციას იკავებს. ნაშრომი ამტკიცებს, რომ გაგების ფუნდამენტურად ენობრივი ხასიათი, გადამერის თეორიაში, ენასა და აზროვნებას შორის ონტოლოგიური კავშირის არსებობითაა განპირობებული, რაც სახელდებისა და სხვასთან *დიალოგისკენ* აზროვნებისეულ მიდრეკილებაშია გამოხატული. გადამერის წაკითხვით, ყოფიერების საზრისს, სწორედ მე-*სა* და *სხვას* შორის დიალოგში ეხსნება ახალი განზომილება, კერძოდ, მეტყველების ტრანსფორმირება *საუბარში* ხორციელდება, რომლის დროსაც, ის ზოგად კონტექსტთან ხდება ნაზიარები და *სასაუბრო* ენად იქცევა. ამ უკანასკნელში, არა მხოლოდ *სხვისი* გაგება, არამედ სამყაროსეული საზრისის ახლებური გაგებაც ხორციელდება. საბოლოო ჯამში, ნაშრომი ცდილობს აჩვენოს, რომ *გადამერისეული* ენის ჰერმენევტიკულ მოდელში, ადამიანის არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მან იმ გაგების დაფუძნება-დადასტურება მოახდინოს, რომელიც მან ყოფიერების საზრისიდან მოიხელთა. დიალოგი ხდება ის მოდუსი, რომლის შემწეობითაც იხსნება გარემო, რომელშიც *სხვისი* დახმარებით საზრისის რაღაც ერთეული ნაწილის გამოთქმა და გაცოცხლება ფუძნდება. სამყაროს მიერ გაჟღერებული ეს კონკრეტული საზრისი კი, თავის მხრივ, *დიალოგის* თითოეული მონაწილის ინდივიდუალობის და არსის გამოვლენის საშუალება ხდება, ვინაიდან, ამ უკანასკნელში, ადამიანი საკუთარი

თავის დამტკიცებას ახდენს, ირგებს რა სამყაროს თავისუფალი *ინტერპეტატორის* როლს, რომელიც იგებს და გამოთქვამს ყოფიერების საზრისს.

საკვანძო სიტყვები: ჰერმენევტიკა, გადამერი, გაგება, ენა, ინტერპრეტაცია

Abstract

The presented work discusses the linguistic aspects of Hans-Georg Gadamer's hermeneutic philosophy. The study shows that the specificity of human existence is defined by the existence of the linguistic aspect of the surrounding world, during which this world reveals itself to the human being in the form of the world conveyed in the language, which makes it possible for the *sense (*or *meaning) of Being* to be expressed and actualized by the human being. In this process, a person takes on the position of an interpreter of the world. This paper claims that the fundamentally linguistic nature of understanding, in Gadamer's theory, is due to the existence of an ontological connection between language and thought, which is expressed in the mental inclination towards *naming* and *dialogue* with *the other*. According to Gadamer's reading, a new dimension is revealed to the Sense of Being: precisely in the dialogue between *Oneself* and the *other*, speech is transformed into a conversation, during which it is shared with the general context and becomes a conversational language. In the latter, not only the understanding of the *other*, but the new understanding of the sense of the world is also realized. In the end, the work tries to show that in the Gadamerian hermeneutic model of language, the essence of a person lies in the fact that he or she establishes and confirms the understanding that he or she discerned from the sense of Being. Dialogue becomes the modus, a newly opened environment, in which, with the help of the other, the expression and revival of single part of Being is constituted. This concrete sense expressed by the world, in turn, becomes a means of revealing the individuality and essence of each participant of the dialogue, since, in the latter, a person proves himself as a free interpreter of the world, who understands and expresses the sense of Being.

Key words: *Gadamer, Understanding, Language, Interpretation*

მადლობა

თემაზე მუშაობის პროცესში გაწეული დახმარებისთვის, მადლობას ვუხდი ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრულ პროფესორს, თამარ ცოფურაშვილს.